


## აჭარის რეგიონის სათამაშო ბიზნესის სტატისტიკური ანალიზი


2021 წელს ბათუმის ბიუჯეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან მიღებულმა ჯამურმა შემოსავლმა შეადგინა 23.4 მილიონი ლარი, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 27%-ით ჩამორჩება<sup>1</sup>. ბათუმის ბიუჯეტში ჩარიცხული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ძირითადი ნაწილი (82%) სამორინეებიდან არის მიღებული, სათამაშო ბიზნესის სხვა ტიპის სუბიექტებზე მოსაკრებლების მხოლოდ 18% მოდის.

ბათუმის ბიუჯეტში ჩარიცხული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სტრუქტურა (2016-2021 წწ.)




2021 წელს აჭარაში, კერძოდ ქალაქ ბათუმში, ფუნქციონირებდა 8 სამორინე. აღნიშნული სამორინეების მიერ ბათუმის ბიუჯეტში გადახდილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ჯამურმა თანხამ შეადგინა 19.2 მილიონი ლარი, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 21%-ით ჩამორჩება.

ბათუმის ბიუჯეტში სამორინეებიდან მიღებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის დინამიკა (2016-2021 წწ.)




<sup>1</sup> 2020 წელს, კოვიდ რეგულაციების საფუძველზე, სათამაშო ბიზნესის საქმიანობა თითქმის მთელი წლის განმავლობაში იყო შეჩერებული, ამიტომ 2021 წლის მონაცემების შეპირისპირება 2020 წლის მონაცემებთან არარელევანტურია.

ბათუმის ბიუჯეტში სამორინეებიდან მიღებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სტრუქტურა (2021 წ.)




2021 წლისათვის სამორინეებში სათამაშო მაგიდების რაოდენობა იყო 125, ხოლო სათამაშო აპარატებისა - 870.

სათამაშო მაგიდებისა და აპარატების რაოდენობა სამორინეებში (2016-2021 წწ.)




გარდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალური ბიუჯეტისა, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ჩარიცხვა ხდება ასევე ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალურ ბიუჯეტებში. 2021 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალურ ბიუჯეტში ჩარიცხულმა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელმა შეადგინა 1.1 მლნ ლარი, ხოლო ქობულეთის მუნიციპალურ ბიუჯეტში 2021 წლის განმავლობაში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ჩარიცხვა არ მომხდარა.

2021 წელს აჭარის ა.რ. რესპუბლიკურ ბიუჯეტში რეგიონში მოქმედი სამორინეების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა 8.7 მილიონი ლარი, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 36%-ით ჩამორჩება.



2021 წელს აჭარაში მოქმედ სამორინეებში ვიზიტორების ჯამურმა რაოდენობამ 470 ათასი შეადგინა. ვიზიტორთა 82%-ს არარეზიდენტი ვიზიტორები წარმოადგენდნენ.



2021 წელს სამორინეებში დასაქმებული იყო 2 152 ადამიანი.